

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №3
2019 წლის 31 იანვარი

ქ. თბილისი

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და 42-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

მუხლი 1

„ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში (სსმ III, №2, 09.01.2006 წ., სარეგისტრაციო კოდი 300.320.000.16.009.007.995) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-4 მუხლში მოცემული ცხრილიდან ამოღებულ იქნეს მე-19 პუნქტი.

ბ) მე-4 მუხლში მოცემულ ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 65-ე პუნქტი:

”

65.	შპს „თელავვაზი“	26.750	16.301	44.935
-----	-----------------	--------	--------	--------

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 28 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი
ეროვნული კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

გოჩა შონია

მაია მელიქიძე
გიორგი ფანგანი
დავით ნარმანია

